აკადემიური საბჭო
დადგენილება № 09-22

გორი 23 03 2018წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლიდან 2 კალენდარული წლის ვადაში განახორციელონ ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სამეცნიერო აქტივობა:

ა) სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა და შესაბამისი კონფერენციის თეზისების გამოქვეყნება, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის, Scopus-ის Elsevier-ის ან EBSCO-ს მიერ;

ბ) იმფაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის მიერ;

გ) სამეცნიერო სტატიის გამოქყვეყნება ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (Europian Reference Index of the Humanities) მიერ;

დ) სამეცნიერო სტატიის გამოქყვენება, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal&Country Rank, Elsevier ან EBSCO-ს მიერ;

ე) სამეცნიერო სტატიის/თავის გამოქყვეყნება წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის, Scopus-ის Elsevier-ის ან EBSCO-ს კონფერენციის მასალების ციტირების ინდექსით;

ვ) მაღალრეიტინგული რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer reviewed) სამეცნიერო მონოგრაფიის გამოქყვეყნება უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტესტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია Scopus, Elsevier, EBSCO, SCImago Journal&Country Rank, Research Gate-ის მიერ.

3. წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ არჩეულმა პროფესორებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 2 კალენდარული წლის ვადაში უნდა განახორციელონ ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი სამეცნიერო აქტივობა;

4. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

5. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

6. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი